ᲗᲘᲣᲜᲘ 3/81

*შეთანხმება*

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს“ შორის*
*2017 წლის 20 თებერვალს დადებულ №38-5*
*სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში*
*ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე*

*ქ. ზუგდიდი* *14 მარტი, 2017 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლაშა გოგიას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“*** (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნიკოლოზ საჯაიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, 2017 წლის 20 თებერვალს დადებულ №38-5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-9 მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 მარტის №829 ბრძანების გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

ხელშეკრულებაში მითითებული დაფინანსების წყაროს დაზუსტებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

1. განხორციელდეს ცვლილება ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   *პუნქტი 1.1.* – „ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის (*სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამით გათვალისწინებული)* სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულებში სპეცტექნიკის საშუალებით ცენტრალური და შიდა საუბნო გზების თოვლისაგან გაწმენდის მომსახურების (შემდგომში _ მომსახურება) შესყიდვა *(CPV კოდი: - 90600000 - ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები; 90620000 - თოვლისაგან გაწმენდა).*“

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

| *შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი* | *მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი* |
|---|---|
| *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* | *შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“* |
| იურიდიული და ფაქტიური მისამართი: | იურიდიული და ფაქტიური მისამართი: |
| ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90 | ზუგდიდი, სოფ. ინგირი |
| საინდენტიფიკაციო კოდი: *220416967* | საიდენტიფიკაციო კოდი: *219987067* |
| *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:* | *შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს“ დირექტორი:* |
| ..... /ლ. გოგია/ | ..... /ნ. საჯაია/ |